

აღმოსავლეთ პარტნიორობის გზამკვლევი

რა არის "აღმოსავლეთ პარტნიორობა"?

- "აღმოსავლეთ პარტნიორობას" ჩვენ ვუწოდებთ ევროკავშირის ურთიერთობას მის 6 აღმოსავლეთ მეზობელთან, ესენია: **სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა და უკრაინა.**
- უფრო კონკრეტულად, "აღმოსავლეთ პარტნიორობა" არის ტერმინი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ევროკავშირის რიგი პოლიტიკური ურთიერთობების აღსანიშნავად, რომლებიც განსაზღვრავენ ევროკავშირის ურთიერთობებს ამ 6 სახელმწიფოსთან. ამ პოლიტიკის ერთობლიობას "აღმოსავლეთ პარტნიორობა" ეწოდება. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" ოფიციალურად ამოქმედდა 2009 წლის მაისში პრადის სამიტზე.
- "აღმოსავლეთ პარტნიორობა" წარმოადგენს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტის - ევროპის სამეზობლო პოლიტიკის - აღმოსავლეთ განზომილებას.

რა არის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ძირითადი მიზნები?

- "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მიზანია ევროკავშირისა და "აღმოსავლეთ პარტნიორობის" წევრ 6 პარტნიორ ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა.

როგორ აღწევს "აღმოსავლეთ პარტნიორობა" ამ მიზნებს?

- "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მიერ ამ მიზანების მიღწევის ძირითადი გზაა რეფორმების მხარდაჭერა ჩვენ ექვს პარტნიორ ქვეყანაში; ხოლო რეფორმების მხარდაჭერის ძირითადი გზა ჩვენ პარტნიორებთან ფორმალური შეთანხმებების - ე.წ. "ასოცირების შეთანხმებების" - გაფორმებაა.
- "ასოცირების შეთანხმება" ქმნის ევროკავშირისა და მისი პარტნიორს შორის პრივილეგირებულ ურთიერთობას, რომელიც ეფუძნება საერთო ღირებულებებს: ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრინციპების პატივისცემას. ის მოიცავს თანამშრომლობას მრავალ სფეროში, მათ შორისაა **საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხები, ვაჭრობა, მმართველობა და ეკონომიკა.**
- "ასოცირების შეთანხმება" გზას უკვალავს ამბიციურ **"ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს"** ანუ "DCFTA"-ს, რომლის წყალობით ჩვენი პარტნიორი ქვეყანა შედის ევროკავშირის შიდა ბაზარზე - უდიდეს ერთიან ბაზარზე მსოფლიოში. "DCFTA"-ს ფარგლებში ჩვენი პარტნიორები თანამშრომლობენ ევროკავშირთან ვაჭრობის სფეროში და იღებენ დახმარებას ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეფორმებისათვის, მათი მრეწველობისა და საქონელის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოისაყვანად.

რა პრინციპები უდევს საფუძვლად "აღმოსავლეთ პარტნიორობას" ?

- "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ერთ-ერთი ძირითადი პრინციპებია ის, რასაც ჩვენ "ორმხრივ ანგარიშვალდებულების" ვუწოდებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთს გარკვეულ დაპირებებს ვამღებთ და ჩვენ ერთმანეთისაგან ამ დაპირებების შესრულებას მოვითხოვთ. ევროკავშირის მხრიდან, ჩვენ ვიძლევიან პირობას, რომ მხარს დავუჭერთ პარტნიორებს რეფორმების განხორციელებაში. თავის მხრივ, ჩვენი პარტნიორები იძლევიან პირობას, რომ პატივს სცემენ და განახორციელებენ ჩვენ **ძირითად ღირებულებებს**, როგორებიცაა: დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. ევროკავშირის მხარდაჭერა მორგებულია ჩვენი პარტნიორების მზადყოფნაზე დაიცვან ეს ღირებულებები.
- თითოეულ ქვეყანასთან მუშაობისას ჩვენ ვიყენებთ **დიფერენცირების** პრინციპს: ჩვენ ვახდენთ ჩვენი პოლიტიკის ადაპტირებას იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ სურს პარტნიორს ინტეგრაცია ევროკავშირთან და რამდენად მზადაა **განახორციელოს რეფორმები**.

რა არის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" "ორმხრივი" და "მრავალმხრივი" მიმართულებები?

- "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში ჩვენ ვანვითარებთ ურთიერთობებს პარტნიორ ქვეყნებთან ორი გასწვრივებული ფორმატით: **ორმხრივი** და **მრავალმხრივი**.
- **ორმხრივი** მიმართულება გულისხმობს დიალოგს ევროკავშირსა და ყოველ ცალკეულ პარტნიორ ქვეყანას შორის. ამ ფორმატის ფარგლებში, ჩვენ ვაღრმავებთ ჩვენს ორმხრივ კავშირებს, ვმუშაობთ რა კონკრეტული მიზნებზე და პრობლემებზე. "ასოციირების შეთანხმებები", DCFTA-ს ჩათვლით, ამ ორმხრივი მიმართულების ნაწილია.
- მეორეს მხრივ, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" **მრავალმხრივი** თანამშრომლობის ფორმატი უზრუნველყოფს კოლექტიურ დიალოგს ევროკავშირსა და მის ექვსივე პარტნიორ ქვეყანას შორის, იმის თაობაზე თუ როგორ უნდა გადავლახოთ საერთო დაბრკოლებები, გავუზიაროთ ერთმანეთს ცოდნა და საუკეთესო პრაქტიკა. ეს დიალოგი ხდება ოთხი თემატური "პლატფორმის" ფარგლებში:

- o დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა;
- o ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენცია;
- o ენერგეტიკული უსაფრთხოება; და
- o კონტაქტები ადამიანებს შორის.

როგორ ეხმარება "აღმოსავლეთ პარტნიორობა" პარტნიორ ქვეყნებს ?

- "აღმოსავლეთ პარტნიორობას" მრავალი სარგებელი მოაქვს პარტნიორ ქვეყნების მოქალაქეებისათვის. პოლიტიკური ასოცირების პროცესის მეშვეობით ჩვენ ხელს ვუწყობთ **დემოკრატიულ რეფორმებს, კარგ მმართველობას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებას.** ჩვენი პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებისათვის ეს მოიტანს უფრო პროგნოზირებად საზოგადოებრივ ცხოვრებას და **წესებს, რომლებიც სარგებელს მოუტანს ყველას, და არა მხოლოდ ელიტას.**
- ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის წყალობით ჩვენ პარტნიორ ქვეყნებს შეუძლიათ მოელოდნენ უფრო მეტ **კეთილდღეობას.** DCFTA პარტნიორებს მოუტანს **მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას,** მათთვის ხელმისაწვდომს გახდის რა ევროკავშირის შიდა ბაზარს და გაზრდის მათი ქვეყნების მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისთვის.
- "აღმოსავლეთ პარტნიორობის" კიდევ ერთი მიზანია ადამიანებს შორის პირდაპირი კონტაქტების ხელშეწყობა. ჩვენს მიერ ამის მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია, რომლის საბოლოო მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მოქალაქეებისათვის **ევროკავშირში მოკლევადიანი სტუმრობისათვის უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა.**
